პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1980 წელი პარასკევი 21 მარტი № 67 (17710) ფასი 2 კაპ.

ლენინური შაბათობა გვიხმობს

მუშაობელთა სიტყვა

ბათუმი. (საკ. კორ.). მოსკოველთა თაოსნობას ლენინური შაბათობის მოწყობის შესახებ აქტიურად გამოეხმაურნენ ბათუმის საბლთსაშენებელი კომბინატის მშრომელები და კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს. შაბათობაში ათასამდე კაცი მიიღებს მონაწილეობას და შეასრულებს 23 ათასი მანეთის სამუშაოებს, დამზადდება 10,5 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, მთელი გამომუშავებული თანხა ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება. ვახტისადან თავისუფალი მუშაკები კეთილმოწყობენ სპორტულ მოედანს, გაამწვანებენ მიკრორაიონს.

შრომის ნაყოფიერება — უმაღლესი

ბორჯომი. (საკ. კორ.). გაცხოველებით ემზადება „საქკომუნრემმშენის“ ბორჯომის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს კოლექტივი ლენინური შაბათობისათვის. 19 აპრილი სამმართველოს მშენებარე ობიექტებზე გამოცხადებულია უმაღლესი შრომის ნაყოფიერების დღედ.

მშენებელთა მთავარი საზრუნავი გახდება სამმართველოს საქმიანი ეზოსა და უბნებში მისასვლელი გზების კეთილმოწყობა.

ხუთწლედის ფონდში სამმართველოს კოლექტივი 600 მანეთს გადაარიცხავს.

ერთსულოვნად

ცხინვალის მომინანქრებული სადენების ქარხნის მთელი კოლექტივი 19 აპრილს დაზოგილი ნელოეულით იმუშაებს და გამოუშვებს მხოლოდ მაღალხარისხოვან პროდუქციას. შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს საწარმოს 430 მუშა. უშუალოდ პროდუქციის გამოშვებაზე დასაქმებული იქნება 150 კაცი. დანარჩენები კეთილმოწყობენ ქარხნის ტერიტორიას. დამზადდება 17 ათასი მანეთის პროდუქცია და ხუთწლედის ფონდში 1700 მანეთი გადაირიცხება.

□

ლენინური შაბათობის დღეს ცხინვალის ელექტროვიბრაციული მანქანების ქარხანაში 233 კაცი იმუშავებს. მათ შორის 125 კაცი კეთილმოწყობს ქარხნის ეზოს. გამოშვებული იქნება 11 ათასი მანეთის პროდუქცია, ხოლო ხუთწლედის ფონდში 1200 მანეთი გადაირიცხება.

□

წითელ შაბათობაზე ასევე ერთსულოვნად გამოვლენ ქალაქის უძველესი საწარმოს — ხე-ტყის კომბინატის მშრომელები. 105 კაცი უშუალოდ პროდუქციის გამოშვებაზე იქნება დასაქმებული, ხოლო 116 — კეთილმოაწყობს ახლად რეკონსტრუირებული საწარმოს ტერიტორიას. (საკ. კორ.).

...ეკონომიკური ეფექტი ერთი მილიონი მანეთი

ცალკა. (საკ. კორ.). ...ქარხნის კოლექტივმა გადაწყვიტა მაღალნაყოფიერი შრომით აღნიშნოს ლენინური შაბათობის დღე.

19 აპრილს აქ პროდუქციის გამოშვებაზე იმუშაებს კოლექტივის უმრავლესობა და დამზადებს 30 ათასი მანეთის ნაწარმს. დანარჩენები იშრომებენ 20 ათასი კვადრატული მეტრი ქარხნის ტერიტორიის კეთილმოწყობისათვის; დაირგვება ასობით მარადმწვანე და დეკორატიული მცენარე.

„წითელ შაბათობაზე“ გამომუშავებული ხელფასი მთლიანად ხუთწლედის ფონდში გადაირიცხება.

რეზერვების გამოყენებით

ციათურის სამთამადნო კომბინატის კალინინის მაღაროში ყველაფერი მზად არის შრომის დღესასწაულის მაღალ დონეზე ჩასატარებლად. წითელი შაბათობის მომზადებას შტაბმა ზუსტად განუსაზღვრა დავალებები. საწარმოს ყველა უბნისა და ბრიგადის კოლექტივებს. შტაბში რეგულარულად შემოდის მუშათა წერილები, რომლებშიც ისინი იტყობინებიან, თუ რა გზით, რა რეზერვების გამოყენებით აპირებენ თავიანთი დღიური დავალების გადაჭარბებით შესრულებას.

გამოვლენილი რეზერვის გამოყენებით მაღაროს კოლექტივი ვარაუდობს 19 აპრილს მაქსიმალურებელ ფაბრიკას გაუგზავნოს 300 ტონა მანგანუმის მადანი, მნიშვნელოვანად მეტი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებს. (საკ. კორ.).

მექანიზატორთა წვლილი

მახარაძე. (საკ. კორ.) „საქსახსოფლტექნიკის“ მახარაძის გაერთიანების მექანიზატორებმა ფართოდ გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ლენინის დაბადების 110-ე წლისთავის ღირსეულად აღნიშვნისათვის. მათ პარტიული ორგანიზაციის ღია კრებაზე გადაწყვიტეს, რომ 19 აპრილს ტრადიციულ შაბათობაზე დამკვრელურად იშრომონ.

სარემონტო საწარმოები შაბათობის დღეს იმუშავებენ დაზოგილი მასალებით და ელექტროენერგიით. შაბათობაზე გამოვა გაერთიანების სულ ცოტა 190 მუშამოსამსახურე, რომლებიც გამოიმუშავებენ 6 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციას და ხუთწლედის ფონდში ჩარიცხავენ 500 მანეთს.

1300 მანეთი ხუთწლედის ფონდში

სიღნაღი. (საკ. კორ.). 19 აპრილს ლენინური შაბათობაში მონაწილეობას მიიღებს სამკერავო ფაბრიკის 512-ვე მუშა და მოსამსახურე. მარტო ამ ღონეს გამოუშვებენ 2.500 ცალ ქალის ხალათს, 1.500 ცალ ბავშვის კაბას, 800 ცალ ბავშვის ჟილეტს და სხვა საქონელს; გამოიმუშავებენ 25 ათას მანეთს, საიდანაც 1.300 მანეთს ხუთწლედის ფონდში გადარიცხავენ.

ამავე დღეს მუშა-მოსამსახურეები დასაუფთავებენ, კეთილმოაწყობენ და გაამწვანებენ ფაბრიკის ეზო-კარმიდამოს.



სურათზე: მემონტაჟეები.

ზ. დათუაშვილის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი — რესპუბლიკის პარტიული ორგანოებისა და სახალხო კონტროლის ორგანოების ამოცანები „სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად.

მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციები, ხელმძღვანელობენ რა პარტიის XXV ყრილობის მოთხოვნებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით „ლატვიის სს რესპუბლიკაში სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შესახებ“, მნიშვნელოვან მუშაობას ეწევიან, რათა სრულყონ სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი ხელმძღვანელობის ფორმები და მეთოდები, გაძლიერონ მათი როლი პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების შემოწმების, სახალხო-სამეურნეო გეგმების რეალიზაციის, დისციპლინისა და კანონიერების განტკიცების საქმეში. სახალხო კონტროლიორები აქტიურად მონაწილეობენ მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის, სახელმწიფო წესრიგის დაცვისა და ორგანიზებულობის უზრუნველყოფისათვის, წარმოების რეზერვების გამოვლენისათვის ბრძოლაში და თავიანთი წვლილი შეაქვთ მეათე ხუთწლედის დავალებათა განხორციელებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ ბოლო წლებში რეგულარულად განიხილავს სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობისა და მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებს. მოეწყო რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება სახალხო კონტროლიორთა მონაწილეობით, რომელიც მათი მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანებს მიეძღვნა. ყველა ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტმა აგრეთვე არაერთგზის იმსჯელა სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საკუშაოების საქმიანობის შესახებ.

თითქმის ყველა სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნებია. ეს ფორმები და მეთოდები, გაძლიერონ მათი როლი პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულების შემოწმების, სახალხო-სამეურნეო გეგმების რეალიზაციის, დისციპლინისა და კანონიერების განტკიცების საქმეში. სახალხო კონტროლიორები აქტიურად მონაწილეობენ მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის, სახელმწიფო წესრიგის დაცვისა და ორგანიზებულობის უზრუნველყოფისათვის, წარმოების რეზერვების გამოვლენისათვის ბრძოლაში და თავიანთი წვლილი შეაქვთ მეათე ხუთწლედის დავალებათა განხორციელებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ამ ბოლო წლებში რეგულარულად განიხილავს სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობისა და მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებს. მოეწყო რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრება სახალხო კონტროლიორთა მონაწილეობით, რომელიც მათი მუშაობის შემდგომი სრულყოფის ამოცანებს მიეძღვნა. ყველა ადგილობრივმა პარტიულმა კომიტეტმა აგრეთვე არაერთგზის იმსჯელა სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საკუშაოების საქმიანობის შესახებ.

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობა და მათდამი პარტიული ხელმძღვანელობა ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება პარტიის XXV ყრილობის მითითებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის შესაბამისი დადგენილებების, სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ მიღებული კანონის მოთხოვნებს.

პარტიის ზოგიერთი საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტი და რესპუბლიკის ცალკეული პირველადი პარტორგანიზაციები საკმაოდ ორმად არ სწვდებიან სახალხო კონტროლის კომიტეტების, ჯგუფებისა და საკუშაოების მუშაობას, არ წარმართავენ მათ უპირველესი სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად, პარტიული და საბჭოთა ორგანოები ყველგან როდი უწევენ სახალხო კონტროლიორებს ჯეროვან დახმარებას და მხარდაჭერას, დროულად და ყორადღებით, პრინციპულად არ განიხილავენ დასახულ საკითხებს, ყველგან არ იგრძნობა ჭეშმარიტად პარტიული ზრუნვა იმისათვის, რომ განამტკიცონ კომიტეტები და ჯგუფები მარჯვე, ავტორიტეტიანი მუშაკებით, რომლებსაც აქვთ ორგანიზატორული მუშაობის გამოცდილება.

სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობა ჯერ კიდევ ყველგან როდია წარმართული ისე, რომ მთავარი ყურადღება ეთმობოდეს საკვანძო საკითხებს, რომლებიც უზრუნველყოფს სამეურნეო მექანიზმის წარმატებულ ფუნქციონირებას, საგეგმო დავალებათა რეალიზაციას. სახალხო კონტროლიორები ზოგჯერ გულგრილად ეკიდებიან იმას, რომ ცალკეული საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციები წლითიწლითი ვერ ასრულებენ გეგმებს, მუშაობენ ნაკლებად ეფექტიანად და უხარისხოდ.

ჯერ კიდევ ვერ არის მიღწეული სახალხო კონტროლის სისტემის ყველაზე მასობრივი რგოლის — ჯგუფებისა და საკუშაოების საქმიანობის გააქტიურება, რომლებიც მასების შუაგულში ტრიალებენ, და კარგად იციან თავიანთი შრომითი კოლექტივის საქმის მდგომარეობა. სახალხო კონტროლიორთა მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ არ გამოდის პარტიული ორგანიზაციების აქტიურ თანაშემწედ მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში, არ იჩენს მაღალ მებრძოლურ თვისებებს დამაკმაყოფილებლად არ მუშაობს სახალხო კონტროლის ბევრი ჯგუფი და საკუშაო ვაჭრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, შეწინააღმდეგობა და ტრანსპორტზე, მთელ რიგ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში სახალხო კონტროლიორები ჯეროვანი აქტიურობით არ ებრძვიან უყაირათობას და სოციალისტური საკუთრების დატაცებას სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, სახალხო კონტროლის კომიტეტებს, ჯგუფებსა და საკუშაოებს დაავალა უზრუნველყონ, რომ განუხრელად სრულდებოდეს სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ მიღებული კანონის დებულებები, იხელმძღვანელონ თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნებით, განსაზრვრელონ ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობის შემდგომ გააქტიურებას, მისი ქმედითობის ამაღლებას სახელმწიფო, საგეგმო, საშემსრულებლო, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებაში სამეურნეო მშენებლობის ყველა უბანზე. ყოველი სახალხო კონტროლიორი თავისი საქმიანობით უნდა ამართლებდეს გაწეულ ნდობას, იყოს მომთხოვნი და პრინციპული სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაში, ზრუნავდეს სახალხო დოვლათის დაცვა-შენახვისა და გამრავლებისათვის, იჩვენებდეს ყველას შრომისმოყვარეობის, მაღალი შეგნების, ორგანიზებულობისა და დისციპლინის პირად მაგალითს.

სახალხო კონტროლის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა ხელს უნდა უწყობდეს მათი როლისა და პარტიისა და მთავრობის დირექტივების, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და კაპიტალური მშენებლობის გეგმების ფაქტობრივი შესრულების შემოწმებისათვის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლებას. საჭიროა კვლავაც განამტკიცოთ სახალხო კონტროლის კომიტეტები გამოცდილი, მომთხოვნი და პრინციპული ამხანაგებით, ავამაღლოთ სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაკ კომუნისტთა პასუხისმგებლობა, უფრო ფართოდ დაენერგოთ ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების შეხვედრები სახალხო კონტროლიორებთან.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრების პარტიული და ეკონომიკური განათლების ქსელში სწავლების გეგმებით გათვალისწინებული უნდა იყოს სსრ კავშირში სახალხო კონტროლის შესახებ მიღებული კანონის შესწავლა, განსაზრვრელდეს ღონისძიებანი ყველა სახალხო კონტროლიორის სწავლების ორგანიზაციისათვის, რათა მათ შეიძინონ საკონტროლო მუშაობის ჩვეგები, დაეუფლონ დადებითს გამოცდილებას.

დიდმნიშვნელოვან ამოცანად არის დასახული, რომ მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე მოეწყოს სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საკუშაოების მომავალი ანგარიშგება-აჩრჩევნები, კრებები უნდა გაიმართოს შრომითი კოლექტივების წიაწარ მდგომი ამოცანების რეალიზაციისათვის ბრძოლის გაძლიერების ნიშნით, პრინციპულად უნდა გააკრიტიკონ სახალხო კონტროლის ორგანოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, განსაზღვრონ მათი აღკვეთის ეფექტიანი გზები, ხელი შეუწყონ თითოეული სახალხო კონტროლიორის აქტიურობის ამაღლებას სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად. კრებების მომზადებისათვის სახალხო კონტროლის ჯგუფებზე მიმაგრებული უნდა იყვნენ პარტიული კომიტეტების, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების პასუხისმგებელი მუშაკები, არჩევითი პარტიული აქტივი, სამეურნეო ხელმძღვანელები; საჭიროა გაუმჯობესდეს სახალხო კონტროლის ჯგუფების თავმჯდომარეთა, საგუშაგოების ხელმძღვანელთა თვისებრივი შემადგენლობა, შეყვანილ იქნან სახალხო კონტროლის ორგანოებში ავტორიტეტიანი, საქმის მცოდნე, პრინციპული ადამიანები.

რესპუბლიკურ და ადგილობრივ სახალხო კონტროლის კომიტეტებს, სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საკუშაოებს დაეგალათ სახალხო კონტროლიორთა მთავარი ყურადღება მიაპყრონ საკვანძო საკითხებს, რომელთა გადაწყვეტაზე დამოკიდებულია სამეურნეო მუშაობის დონის ამაღლება, სახელმწიფო გეგმებისა და დავალებების შესრულება; შეუპოვრად იბრძოლონ იმ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, რომლებიც აბრკოლებს შრომითი კოლექტივების ზუსტ, რიტმულ და მაღალეფექტიან მუშაობას წესრიგისა და ორგანიზების განმტკიცებისათვის, დაკისრებული საქმის გამო თითოეულის პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში კანონიერების მტკიცედ დაცვისათვის.

სახალხო კონტროლის ჯგუფებისა და საგუშაოების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე უნდა მოისმინონ საქალაქო და რაიონული სახალხო კონტროლის კომიტეტების ინფორმაცია და ანგარიში, კრიტიკულად შეაფასონ მათს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, შეიმუშაონ საკონტროლო საქმიანობის სრულყოფის პრაქტიკულ ღონისძიებათა მკაფიო პროგრამა.

პარტიულმა კომიტეტებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებმა, რესპუბლიკურმა და ადგილობრივმა სახალხო კონტროლის კომიტეტებმა განუხრელად უნდა იხელმძღვანელონ იმ ლენინური მოთხოვნით, რომ კონტროლი უნდა იყოს საჯარო, ხორციელდებოდეს ყველას დასანახად, რომ მისი შედეგები უნდა იცოდნენ მშრომელთა ფართო მასებმა; შრომითს კოლექტივებს სისტემატურად უნდა გააცნონ სახალხო კონტროლის ორგანოების მუშაობა და მათ მიერ მოწყობილ შემოწმებათა შედეგები, გამოიყენონ ამ მიზნით კრებები და საწარმოო თათბირები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი.

რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა, საქართველოს სსრ სახტელერადიომ, საქინფორმმა უფრო ფართოდ გააშუქონ სახალხო კონტროლის კომიტეტებია, ჯგუფებისა და საგუშაოების საქმიანობა, პროპაგანდა გაუწიონ სახალხო კონტროლიორთა დადებითს გამოცდილებას, რომლებიც ღიმესეულად ასრულებენ თავიანთ საზოგადოებრივ მოვალეობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა აგრეთვე მთელი რიგი ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობს სახალხო კონტროლის ორგანოების საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას, მათდამი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფას. (საინფორმი).

ხელი მოაწერეს დოკუმენტებს

19 მარტს მოლაპარაკებას განაგრძობდნენ საბჭოთა კავშირისა და ნიკარაგუის რესპუბლიკის დელეგაციები.

მეგობრობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარე მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ნიკარაგუის დოკუმენტებს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ნიკარაგუის ეროვნული განთავისუფლების სანდინისტურ ფრონტს შორის ურთიერთობის გეგმას ხელი მოაწერეს: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სახელით — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა, ნიკარაგუის ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის სახელით — ნიკარაგუის ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრმა ჰენრი რუისმა.

დოკუმენტებს ხელმოწერას დაესწრნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, დ. თ. უსტინოვი, პ. ნ. დემიჩევი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარენი, სხვა ოფიციალური პირნი; ნიკარაგუის მხრივ — ეროვნული განთავისუფლების სანდინისტური ფრონტის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრები თომას ბორხე, უმბერტო ორტეგა, ნიკარაგუის რესპუბლიკის სამთავრობო-პარტიული დელეგაციის სხვა წევრები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მთავრობამ კრემლის დიდ სასახლეში საუზმე გამართეს ნიკარაგუის რესპუბლიკის სამთავრობო-პარტიული დელეგაციის პატივსაცემად.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუზმეზე იყვნენ ა. ა. გრომიკო, ა. პ. კირილენკო, დ. თ. უსტინოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, სხვა ოფიციალური პირნი.

ამავე დღეს დელეგაცია ეწვია ვ. ი. ლენინის ცენტრალურ მუზეუმს. (საკ�sა).

საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკება

19 მარტს მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მოწვევით ვიზიტად ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ბ. ჰნოუპეკი.

ეროდრომზე სტუმარს დახვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სხვა ოფიციალური პირნი.

ამავე დღეს დაწყებული საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მოლაპარაკებაზე ა. ა. გრომიკომ და ბ. ჰნოუპეკმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

განიხილეს საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ყოველმხრივი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხები.

მოლაპარაკება ურთიერთგაგებისა და შეხედულებათა ერთიანობის ვითარებაში მიმდინარეობს. (საკdesსა).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს სხდომა

19 მარტს ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე, ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარეობით, ეროვნებათა საბჭოს ეროვნებათა ინტერნაციონალური ურთიერთობის, ეროვნული ეკონომიკისა და ეროვნული კულტურის საკითხთა კომისიებმა

თუ ინიციატივა გზას მიიკვლევს...

იმ დღეს გვიანობამდე დარჩნენ ფაბრიკის კომუნისტები პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის ნ. ფირანიშვილის კაბინეტში. დიდხანს მსჯელობდნენ და კამათობდნენ. გულგრილი მართლაც არავინ დარჩენილა, და სწორედ ამიტომ გადაწყვიტეთ ერთი საბოლოო დასკვნის გამოტანა.

ბოლოს გადაწყვიტეს: პირადი ინიციატივით, საკუთარი ძალებით შებმოდნენ საქმეს, ამ უბანზე ფაბრიკის მთავარი ინჟინერი, კომუნისტი ე. მელქანიანი მიემგზავნებინათ და სისტემატური კონტროლი დაეწესებინათ შესრულების მიმდინარეობისადმი.

კომუნისტთა მაგალითით ერთსულოვნად დაირაზმა ფაბრიკის მთელი კოლექტივი. ამას კარგი შედეგიც მოჰყვა: შარშან მწყობრში ჩადგა 20 ათასი ფრთა ფრინველისათვის გათვალისწინებული მანამდე გაჩერებული საამქრო. კომუნისტებმა აქ თავიანთი ძალებით, ყოველგვარი დანახარჯების გარეშე დაამონტაჟეს „კბნ“ ტიპის მოწყობილობა, შეაკეთეს და მწყობრში ჩააყენეს 300 ტონა ტევადობის წყლის აუზი, საამქროებში შეაკეთეს და შეცვალეს წყალგაყვანილობის მილები, გაანალეს გათბობის სისტემა... მარტო გათბობის სისტემის მოწესრიგებით მთ 60 ათასი მანეთი დაზოგეს...

ყველის სამეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის პირველადი პარტორგანიზაცია 14 კომუნისტს ერთიანებს, სწორედ მისი დიდი დამსახურებაც არის, რომ საწარმოს კოლექტივი თანდათანობით წარმატებით დაძლევს სამეურნეო-ორგანიზაციული ხასიათის ხარვეზებითა და სხვა ხელისშემშლელი მიზეზებით გამოწვეულ ნაკლოვანებებს. ჩამორჩენას.

— ჩვენი პირველადი ორგანიზაცია მკირეოდენოვანია, და იქნებ ამიტომაც გვეჩვენება ზოგჯერ, რომ გაგვეჭირდება იმ უამრავი შინაპარტიული თუ სამეურნეო ხასიათის პრობლემის გადაჭრა, რომელსაც ყოველდღიურად ვხვდებით წარმოებაში, — ღიმი რწმენით გვეუბნება პარტბიუროს მდივანი ნ. ფირანიშვილი. გასაკვირველი-მოსაკვარებელი და საფიქრალ-საზრუნავი მართლაც ძალიან ბევრი გვაქვს.

რომ აშენო, უნდა იქონდე. ამიტომ მთავარ ყურადღებას ვაქცევთ კომუნისტებისა და უპარტიო სპეციალისტების, კოლექტივის თითოეული წევრის იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული ზრდის დონის ამაღლებას. ამ მიზნით გადავახალისეთ და წამყვანი სპეციალისტებით დაკომპლექტეთ „სსრ კავშირის კონსტიტუციის“ და „სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის და მეშაობის ხარისხის ამაღლების მოწინავე გამოცდილების“ შემსწავლელი სკოლები, რომლებშიც პროპაგანდისტობა დავალისრეთ კომპეტენტურ, ავტორიტეტად ნაღმოვნელ მუშაკებს — ფაბრიკის დირექტორს კომუნის ე. სეფაშვილს და ფაბრიკის ზოოტექნიკოსს ტ. ხეჩიაშვილს. სკოლების მსმენელები ავიტატორებად გამოვყავით საამქროებში, ავამაღლეთ მომთხოვნელობა პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, სახალხო კონტროლის ჯგუფებისადმი, შევქმენით პროდუქციის ხარისხისადმი კონტროლის სპეციალური კომისია (თავმჯდომარე — გ. არაკვანიშვილი). კომუნისტები ვავანაწილეთ სამეშაო უბნების მიხედვით, უფიროს იქ. სადაც ყველაზე მტრად ჩანდა. ამან კიდევ გამამართლა. მაგალითად, ის საამქროები, რომლებსაც კომუნისტები დ. ხეჩიაშვილი და გ. ავაზაშვილი ხელმძღვანელობენ, მოწინავეთა რიგებში არიან. შრომის ჯარ მაგალითს იძლევიან ავრეთვე ინკუბატორის ოპერატორი კომუნისტი ე. ელიზბარაშვილი და სხვები... ყველაფერი ეს გავიფიქეთ იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება სრულად გამოგვიძახა და აგვმაქმედებინა არსებული რეზერვები...

პარტბიუროს მდივნის სიტყვიდან, ჩვენი მხრივ, მხოლოდ იმას დავსძენთ, რომ ფაბრიკის კოლექტივმა ამ გზით შარშანდელი წლის მიწურულს მის დასაწყისთან შედარებით 30,2 ათასი ფრთით გაზარდა ფრინველის საერთო სულადობა, მათ შორის მაქციელობა — 13,8 ათასით. თუ 1978 წლის დეკემბერში ფაბრიკამ 60 ათასი ცალი კვერცხი მოგვაცა, შარშანდელი წლის მიწურულს ეს მაჩვენებელი 242 ათასამდე გაიზარდა. შედეგიც ლოგიკურია: თუ ადრე ფაბრიკის კოლექტივი ვერც ერთი სახეობის მიხედვით ვერ ასრულებდა სახელმწიფო გეგმებს, ხუთწლედის 4 წელიწადში მან სახელმწიფოს მიჰყიოა 568 ცენტნერი ფრინველის ხორცი, ნაცვლად საგეგმო 360 ცენტნერისა, 1.334 ათასი ცალი ერთდღიანი წიწილის ნაცვლად მიეცა 1.348,3 ათასი ფრთა წიწილა...

ეს წარმატებები, რომლებშიც ფაბრიკის კომუნისტებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს, ნაყოფიერი და ინიციატივიანი მუშაობის შედეგია, მაგრამ გასაკვირველი ჯერ კიდევ ბევრია. ფაბრიკა ყველგ ზარალიანია. მან ვერ შეასრულა წიწილების რეალიზაციის, ბაქრიანობა და ფრინველის ხორცის დამზადების დავალებები, საწარმოს საერთო შემოსავალმა საგეგმო 2.233 ათასი მანეთის ნაცვლად 1.747 ათასი მანეთი შეადგინა.

ამ ჩამორჩენის დაძლევა და ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულება ამოძრავ ფაბრიკის კომუნისტთა, კოლექტივის ყველა წევრის საზრუნავია. აქაური კომუნისტების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ გამონახეს წარმატებული მუშაობის ყველაზე ოპტიმალური და მომგებიანი ვარიანტი — ყაბეულოდ დააყენეს ფაბრიკის მოდერნიზაციის საკითხი. ზუსტი წინასწარი გამოანგარიშებით მოდერნიზაციის შემდეგ ფაბრიკის სიმძლავრე ხუთჯერ და მატად გაიზრდება, მძიმე ფიზიკური შრომისაგან ფამთავისუფლდება დიდძალი მუშაჯელი, გაიაფდება პროდუქციის თვითთიღებულება, გაიზრდება წარმოების ეფექტიანობა და პროდუქციის ხარისხი, და, რაც მთავარია, თუ ასეთი მძლავრი ახალი ფაბრიკის მშენებლობა სახელმწიფოს რამდენიმე მლიონი მანეთი დაჯაჯებოდა, მოდერნიზაციისათვის საჭირო იქნება მხოლოდ 886 ათასი მანეთი. მაგრამ, რაკი ეს თანხა საწარმოს არ ჰქონია, ფაბრიკის კომუნისტებმა პარტიულ კრებაზე ერთხმად გადაწყვიტეს ეთხოვათ პარტიის რაიკომისათვის, რომ მას შუამდგომლობა გაეწია სათანადო ზემდგომი ორგანიზების წინაშე ამ მიზნით გრძელვადიანი სესხის გამოსაყოფად.

ვფიქრობთ, ეს საკითხი მალე დადებითად გადაწყდება. და სწორედ ამიტომაც ფაქრობ, ფაბრიკის კოლექტივმა— მთლიანად გადაფიქრა ჩამორჩენა და ხუთწლიანი გეგმა საშვიდწლემდეს შეასრულოს. საწარმოში ხუთწლედის ბოლოსათვის მოქალაქეთა სამეურნეო სულადობა 29 ათასის ნაცვლად 60 ათას ფრთამდე გაიზრდება, საგეგმო 4.350 ათასი ცალი ქვეყნის ნაცვლად დამზადდება 7.257 ათასი, ერთი ცალი ქვეყნის თვითღირებულება 2 კაპიკით შემცირდება, 1200 ცენტნერი ფრინველის ხორცის ნაცვლად დამზადდება 1480 ცენტნერი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება პროდუქციის რეალიზაციის მაჩვენებლებიც.

სწორედ ამ მიტად საპატიო საზრუნავიდან იხოვრობს დღეს ფაბრიკის კოლექტივი და მისი პირველადი პარტორგანიზაცია, რომლის წევლი ფუფუოდ ბევრად მეტი იქნებოდა, სათანადოდ რომ ზრუნავდნენ მისი რიგების ზრდისათვის. ამ საქმის აქ, სამწუხაროდ, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა — ბოლო წლებში ფაბრიკის პარტორგანიზაცია არც ერთი წევრით არ გაზრდილა. არადა, აქ ბევრნი არიან ახალგაზრდები, მისაბაძ მაგალითებს რომ იძლევიან შრომასა და ყოფა-ცხოვრებაში.

ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რადგან ფაბრიკის მთელს ეხოვრებაზე პარტიული გავლენის კიდევ უფრო გაძლიერება მისი კოლექტივის შემდგომი წარმატებული გარჯის თავდადასტურებ.

დ. გერგიშვილი,
„კომუნისტის“ საქ. კორ.

პარტიის ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმი

გაიმართა პარტიის ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა რაიკომის მეორე მდივნად ამ. ბ. ბერეკაშვილი ამირჩია ამხ. გ. მ. თალაკვაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილმა. (საქინფორმი).

კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს ალკკ თბილისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სხვა სამუშაოს გადასვლის გამო პლენუმმა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. ი. ი. ხუციშვილი.

კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ჯ. ვ. მარგველიძე, მეორე მდივნად — ამხ. ი. ლ. თევდორაძე, მდივნად — ამხ. თ. ე. აბულაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. თ. ნ. მენთეშაშვილი და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. კ. შარტავა. (საქინფორმი).

პროპაგანდისტთა შეკრება

გეგეჭკორი. (საკ. კორ. ბ. მელიუტინი). აქ გაიმართა პროპაგანდისტთა რაიონული შეკრება, რომელზეც განიხილეს მოსახლეობის პოლიტიკური ინფორმირების სრულყოფისათვის პარტიის გეგეჭკორის რაიკომის მუშაობის თაობაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების განხორციელების ამოცანები. დამსწრეთ თავიანთი მოსაზრებები გაუზიარეს პარტიულ ორგანიზაციათა მდივნებმა, პროპაგანდისტებმა...

შეკრებამ მიიღო მიმართვა რაიონის იდეოლოგიური დარგის ყველა მუშაკისადმი.

დროზე იღებთ ხელფასს?

მუშრომელი კაცისა და მისი ოჯახის მატერიალურ უზრუნველყოფაში არსებითი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი აქვს ხელფასს. შრომა და ხელფასი განუყოფელი ცნებებია, და ძირითად როლს ასრულებენ ადამიანის ეკონომიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში. ამდენად როდესაც ხელფასზე და მის დროულ გაცემაზე ვლაპარაკობთ, უწინარეს ყოვლისა მხედველობაში გვაქვს ამ პროცესის არა მარტო ეკონომიკური მხარე, არამედ მორალურიც და პოლიტიკურიც. და თუ მაინც ამ მიმართულებით დღისდღეობით ვხვდებით არსებითს დარღვევებს, და სამწუხაროდ არცთუ იშვიათად, ეს უკვე დანაშაულია.

მაინც, როგორ დგას ჩვენს რესპუბლიკაში ხელფასის გაცემის საკითხი, როგორ ტენდენციებთან გვაქვს საქმე და როგორია პერსპექტივები? აღნიშნულ და მასთან დაკავშირებულ ზოგიერთ სხვა პრობლემაზე „კომუნისტის“ კორესპონდენტს ესაუბრება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მმართველის მოადგილე პ. სვანაძე.

სახალხო მეურნეობის განუხრელი აღმავლობისათვის ბრძოლას უშუალო კავშირი აქვს შრომის ანაზღაურებასთან, ხელფასთან, ამიტომ ამ კავშირის თანმიმდევრულობა, რიტმულობა დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის პრობლემად არის აღიარებული. ბოლო ხანს რესპუბლიკაში პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელი ორგანოები მუშა-მოსამსახურეთათვის ხელფასის დროულ გაცემას კარგი ეფექტიანობით ებრძოლებ. რესპუბლიკის ზემდგომმა ორგანოებმა 1974 და 1979 წლებში ეს საკითხი ორჯერ განიხილა ადგილობრივ ადგილებზეც მიიღო, სადაც კონკრეტულად არის მითითებული იმ ღონისძიებათა სისტემა, რომლებიც უზრუნველყოფს ხელფასის დროულ გაცემას.

თავის მხრივ კონტროლი გაძლიერეს სახალხო საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ და მისმა საქვეუწყებო დაწესებულებებმა. ამ მიზნით ჩვენმა კანტორამ შემოიღო დამატებითი ანგარიშგება ხელფასის დავალიანების შესახებ სამინისტროების და მათი საქვეუწყებო ორგანიზაციების თანხების, დავალიანების ბანკრძოლიობისა და მიზეზების ჩვენებით. რესპუბლიკური კანტორის დარგობრივი საკრედიტო სამმართველოების მიერ სპეციალურად შემუშავებული სიგნალების — „ელვის“ მიხედვით შეტყობინებები ზომების მისაღებად ეგზავნებათ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს.

საკითხისადმი ასეთმა მიდგომამ გარკვეული როლი შეასრულა დ., რა თქმა უნდა, ხელს გვიწყობს ყოველდღიურ მუშაობაში, მაგრამ პრობლემა მაინც გადაუჭრელი რჩება. სამწუხაროდ, იმის გამო, რომ მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, გაერთიანებებისა და საწარმოების ხელმძღვანელები ჯეროვნად ვერ აფასებენ ხელფასის დროული გაცემის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას, აგრეთვე პასუხისმგებლობისა და დისციპლინის მოდონების შედეგად ორივეგვა ხელფასის გაცემის გრაფიკი, მეორდება შეცდომები, დანაშაული.

1 თებერვლისათვის გაუცემელი იყო 6,3 მილიონი მანეთი, რაც, მართალია, 3 მილიონი მანეთით ნაკლებია წარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, მაგრამ ექვსჯერ აღემატება წლევანდელ პირველი იანვრის მონაცემებს. აქ არ შეიძლება ერთ გარემოებასაც არ გავუსვათ ხაზი — რესპუბლიკური მონაცემები ხელფასის დავალიანებაზე ბევრად უსწრებს საშუალო საკავშირო მაჩვენებლებს.

ეს მაგალითები, შედარებები დამაფიქრებელია და, თუ დროზე არ მივხედავთ საქმეს, არ დავძლევთ ჩამორჩენებს, სასურველ შედეგს ვერ მივაღწევთ. ხელფასის დავალიანება არა მარტო სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მუშა-მოსამსახურეებში, არამედ უარყოფითადაც მოქმედებს შრომის ნაყოფიერებაზე, გეგმების შესრულებაზე. წლევანდელი მაჩვენებლებით ხელფასის გაცემის საკითხში განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა აქვთ ახალქალაქის, გეგეჭკორის, გურჯაანის, სიღნაღის, მარნეულის, წალკის, ახმეტისა და ზოგიერთ სხვა რაიონს.

სამინისტროთა და უწყებათა მიხედვით ყველაზე მეტი დავალიანება აღმოაჩნდათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საბჭოთა მეურნეობებსა და სამეურნეობათაშორისო გაერთიანებებს. მართალია, აქ შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით ეგრძნობა ხელფასის დაგვიანების შემცირება, მაგრამ წლიურს ყველა იჩინა თავი დარღვევებმა. როგორც სახბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის დაწესებულებათა მიერ წარმოდგენილი ინფორმაციებიდან ჩანს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორგანიზაციებში მუშა-მოსამსახურეებისათვის ხელფასის დაგვიანებათ გაცემის მიზეზი ის არის, რომ გადახარჯულია ხელფასის ფონდი, დროზე არ წარადგენენ შრომის გეგმას, აგვიანებენ ხელფასის დარიცხვას, ანგარიშზე არა აქვთ სახსრები, ზოგჯერ კი ხელფასის მისაღებად ბანკში არ ცხადდებიან საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლები. მაგალითად, 39 შემთხვევაში ხელფასის გაუცემლობა გამოწვეული იყო ხელფასის ფონდის გადახარჯვით, 9 შემთხვევაში — შრომის გეგმის წარმოუდგენლობით, 28 შემთხვევაში — ხელფასის დაგვიანებული დარიცხვით, 19 შემთხვევაში — ანგარიშზე სახსრების უქონლობით, 53 შემთხვევაში — ხელფასის მისაღებად მეურნეობათა წარმომადგენლების გამოუცხადებლობით.

სახბანკის მარნეულის განყოფილებიდან მიიღებული ცნობით, ალსუმლოს საბჭოთა მეურნეობამ გასული წლის დეკემბრის ხელფასის მისაღებად ბანკს განაცხადი 21 იანვარს წაროდგინა, მაგრამ მეურნეობიდან ფულის მისაღებად არავინ გამოცხადებულა. მდგომარეობის გასარკვევად 31 იანვარს ადგილზე ჩავიდა ბანკის წარმომადგენელი, სამწუხაროდ, იქ ადგილზე არავინ აღმოჩნდა და მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი ისევ გაუცემელი დარჩა. ამავე რაიონის არაფლოს საბჭოთა მეურნეობას მთელი 1979 წლის მანძილზე დავალიანება ერიცხებოდა. უკეთესი მდგომარეობა არც სხვა რაიონებშია. სამტრედიის რაიონის გომის მებოსტნეობა-მერძეობის საბჭოთა მეურნეობაში პირველი თებერვლისათვის გაუცემელი იყო 295 ათასი მანეთი, ახმეტის საბჭოთა მეურნეობაში 26 დღის ხანგრძლივობით — 239 ათასი მანეთი, საგარეჯოს რაიონის ჩაილურის სანერგეში 10 დღის ხანგრძლივობით — 319 ათასი მანეთი.

ხელფასის დავალიანების 24 შემთხვევა აქვთ საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს. თანხა 496 ათას მანეთს შეადგენს. დავალიანება 18 შემთხვევაში გამოწვეულია სახსრების უქონლობით და არადამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობით, 3 შემთხვევაში — ორგანიზაციის წარმომადგენლის გამოუცხადებლობით, ხოლო დანარჩენ შემთხვევებში შრომის გეგმის წარმოუდგენლობით.

ჩვენ აქ ძირითადად დავასახელეთ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი მეურნეობები, აგრეთვე სასოფლო მშენებლობის საწარმოები, შევეხეთ რაიონებსაც, მაგრამ ნაკლოვანებანი სხვა სამინისტროების ხაზითაც გვაქვს. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დაქვემდებარებულ 12 სამრეწველო საწარმოზე 1 თებერვლისათვის ხელფასის დავალიანება ირიცხებოდა 122,8 ათასი მანეთი. ხანგრძლივობა — 4-23 დღე. 11 თებერვლისათვის ბორჯომის № 83 მოძრავ-მექანიზებულ კოლონაში გაუცემელი იყო 17 ათასი მანეთი, ბზიფის რკინა-ბეტონის ექსპერიმენტულ ქარხანაში — 15 ათასი მანეთი, ბათუმის № 5 ტრესტის ავტობაზაში — 10 ათასი მანეთი.

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მსუბუქი მრეწველობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროებში, სადაც ეგრძნობა ხელფასის დროულად გაცემისათვის ზრუნვა.

იმ სამინისტროებისა და მათი საქვეუწყებო საწარმოების ნუსხა, რომლებსაც ხელფასის დავალიანება აქვთ, საკმაოდ დიდი და ყველა ნაკლს ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა. ახლა მთავარია ანსებული ხარვეზების აღმოფხვრა, საყოველთაო წესრიგის დამყარება.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ მოეკიდებიან საქმეს სამინისტროთა ხელმძღვანელი მუშაკები. სახბანკის საქართველოს რესპუბლიკურმა კანტორამ სთხოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დაავალოს სამინისტროებსა და მათ ხელმძღვანელებს სათავეში ჩაუდგნენ ხელფასის დროული გაცემის საქმეს. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ წერილობითი მითითება მისცა სამინისტროებსა და უწყებათა ხელმძღვანელებს მოეგვარებინათ ეს საკითხი, რომელიც ბევრად არის დამოკიდებული შრომის გეგმების დროულად შედგენასა და ბანკში წარდგენაზე. აქ ისიც აღსანიშნავია, რომ სამინისტროები და უწყებები დროულად არ აძლევენ დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს ხელფასის გადახარჯვის დაფარვის ნებართვას, ხელფასის დავალიანების თითქმის ნახევარი სწორედ ამ მიზეზით არის გამოწვეული.

როგორც ვხედავთ, საკითხი კომპლექსურ გადაჭრას მოითხოვს. გვჯერა, რომ ზემდგომი ორგანოების დახმარებით, სამინისტროებისა და სახბანკის რესპუბლიკური კანტორის ერთობლივი მოქმედებით უმოკლეს დროში აღმოიფხვრება ხელფასის გაცემის დარგში არსებული ხარვეზები.

საუბარი ჩაწერა
ვ. გაბელიამ.

ოჯახის ბიუჯეტის ძირითადი წყარო

სადღეისო თემაზე

გეგმა საფრთხის წინაშეა!

მეორადი შავი ლითონის დამზადების მიმდინარე წლის პირველი კვარტლის გეგმის შესრულებას ჩაშლა ემუქრება. 20 მარტისათვის სახელმწიფოს ჩაბარდა 15 ათასი ტონა ლითონი, სამი თვის დავალება კი 35 ათას 815 ტონას ითვალისწინებს! როგორც ხედავთ მდგომარეობა ძალზე არასასიამოვნოა.

მთელი რიგი სამინისტროების, უწყებების, სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელები, საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სახალხო კონტროლის კომიტეტები კვლავინდებურად ვერ ჯეროვნად ვერ აფასებენ სახელმწიფოსათვის ლითონის დამზადების გეგმის შესრულების მნიშვნელობას. ზოგან ავიწყდებათ ხელმძღვანელი ორგანოების მოთხოვნა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის ლითონის დამზადების სახელმწიფო გეგმის უთუო შესრულების შესახებ.

მართალია, თებერვალში ამ მიმართულებით საქმეს ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო და გეგმაც შესრულდა, მაგრამ მარტში ყურადღება კვლავინდებურად მოდუნდა და მდგომარეობა საფანგაში შეიქნა. ქუთაისმა ინავარ-თებერვლის გეგმის შესრულებას 1153 ტონა, ხოლო თბილისის პირველი მაისის, ორჯონიკიძის, კალინინის და 26 კომისრის რაიონებმა ერთად 468 ტონა ლითონი დაკარგეს. ცუდად ზრუნავენ ლითონის დასამზადებლად რუსთავში, ტყიბულში, მახარაძეში, ახალქალაქის, ამბროლაურის, ბოგდანოვკის, გარდაბნის, დუშეთის, ქარელის, მარნეულის, თიანეთის, თეთრი წყაროს რაიონებში. ისევე, როგორც შარშან, ლითონის დამზადების შესრულების გეგმებს თავს ვერ ართმევენ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხანა, თბილისის ფოლად-თუჯსასხმელი ქარხანა, „თბილისგვირაბმშენი“, კვიკავშირის სისტემის ობიექტები.

პირველი კვარტალის დამთავრებამდე ცოტა დრო დარჩა. მკაცრად მოვითხოთ ყველა ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომლებიც ამ საქმისადმი სრულ პასუხისმგებლობას არ იჩენენ.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ კორ.

გაზაფხული თანდათან მძლავრობს, ბარის რაიონებში ამ დღეებს ნაყოფიერად იყენებენ.

ტემპს აძლიერებს, გეოგრაფიას ფფარფოლებს თესვის კამპანია რესპუბლიკაში. კახეთის რაიონებში მექანიზატორები ყოველ დარიან ამინდს იყენებენ და ცდილობენ თესვას ხაუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში მორჩენენ.

ზვრია ას ჰექტარზე დათესება საგარეჯოს რაიონის გიორგიწმინდის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. მნიშვნელოვანი ფართობებია გამოყოფილი ხახვის, მზესუზნრის დასათესად.

თესვასთან ერთად მიწათმოქმედნი უვლიან საშემოდგომო ნათესებს.

სურათებზე: მეურნეობის მოწინავე მექანიზატორი ოთარ ახვერდაშვილი; ზვრიის თესვა გიორგიწმინდის საბჭოთა მეურნეობაში.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეს დღეები სოფლად

თესავენ გიორგიწმინდელები!



ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული დიდი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის აუცილებელია უფრო სრულად შეკვახამოთ მატერიალური და მორალური სტიმულები და გავაძლიერეთ მათი ზემოქმედება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაზე, შრომის ნაყოფიერების ზრდაზე, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებაზე, მატერიალური რესურსების მოჭიმრნობით გამოყენებაზე.

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე 1979 წლის 22 ნოემბერს ამხანაგი ე. ა. შევარდნაძე ალნიშნავდა: „მეცნიერ-ეკონომისტების, პრაქტიკოსი მუშაკების დიდმნიშვნელოვანი ამოცანა უნდა გახდეს ადგილებზე შრომის ანაზღაურების ისეთი სისტემის შემოშვება და დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს რესპუბლიკის ყველა ზონასა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების, მაღალ, ყოველმხრივ დაინტერესებას მიწის, ტექნიკისა და წარმოების სხვა საშუალებათა რაციონალური გამოყენებით, რათა მკვეთრად გაიზარდოს მწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და გაუმჯობესდეს მისი ხარისხი“.

მატერიალური სტიმულირების მეცნიერულად დასაბუთებული ფორმებისა და მეთოდების დანერგვის ეფექტიანობის შესანშნავი ნიმუშია აბაშის რაიონის სოფლის მეურნეობაში მომხდარი რადიკალური ძვრები. აქ მატერიალური დაინტერესების პრინციპების თანმიმდევრული განხორციელების საფუძველზე უზრუნველყოფილ შრომის ინდივიდუალური ანაზღაურების კვეთრი გადიდება. ეს იმ დროს, როცა რესპუბლიკის მრავალ კოლმეურნეობაში შრომის ანაზღაურება ვერ უზრუნველყოფს სამუშაო ძალის ნორმალურ აღდგენა-მოგებას და პირადი დამხმარე მეურნეობების ხარჯზე ხდება მისი შევსება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს რესპუბლიკის მთიან რაიონებში განლაგებული ზარალიანი და ნაკლებ რენტაბელური კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცების საკითხები. კოლმეურნეობებს მიეცათ წინადადება მოსავლიანობის გეგმის შესრულების დროს კოლმეურნეებს, კოლმეურნეთა საერთო კრების (რწმენებულთა კრების) დადგენილების საფუძველზე შრომის ანაზღაურების ანგარიშში მისცენ საგეგმო მოსავლის 50 პროცენტამდე, გეგმის შეუსრულებლობისას, თუ ეს კოლმეურნის მიზეზით არ მომხდარა, ფაქტიური მოსავლის ეგრეთვე 50 პროცენტი, ხოლო როგორც საპრემიო მარცვლეული, სამარცვლე პარკოსნებისა და კარტოფილის ზეგეგმით მოსავლის 70 პროცენტი ნატურით, ბოსტნეული, ხილი, ყურძენი და მევენახეობის სხვა პროდუქციისა — ნატურით ან ფულით სახელმწიფო შესასყიდი ფასებით.

ამ უაღრესად მნიშვნელოვანი ღონისძიების თანმიმდევრულ განხორციელება კონკრეტული პირობების გათვალისწინებით უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მეურნეობის წარმატებით განვითარებას.

